დანართი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტიდან პერსონალური მონაცემების გამოთხოვისა და მიღებისთვის საჭირო პროცედურებისა და ვადების განსაზღვრის წესი

1. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტიდან (შემდეგში - უნივერსიტეტი) პერსონალური მონაცემების გამოთხოვის უფლება აქვს ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, რომლის შესახებ ინფორმაცია დაცულია უნივერსიტეტში.

1. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ გაცემას ექვემდებარება შემდეგი სახის პერსონალური ინფორმაცია:

ა) დაინტერესებული პირის შესახებ დამუშავებული მონაცემები;

ბ) მონაცემთა დამუშავების მიზანი;

გ) მონაცემთა დამუშავების სამართლებრივი საფუძველი;

დ) რა გზით შეგროვდა მონაცემები ;

ე) ვისზე გაიცა მის შესახებ მონაცემები , მონაცემთა გაცემის საფუძველი და მიზანი.

3.დაინტერესებული პირი უნივერსიტეტს მომართავს უნივერსიტეტის კანცელარიის მეშვეობით. შემოსული კორესპონდენცია პერსონალური მონაცემების გამოთხოვის შესახებ ეგზავნება რექტორს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ან საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს, განცხადების შინაარსის მიხედვით კომპეტენციიდან გამომდინარე.

4. დაინტერესებულ პირი თავად ირჩევს მოთხოვნილი ინფორმაციის გაცნობის ფორმას: მას უფლება აქვს, მოითხოვოს მის შესახებ უნივერსიტეტში არსებულ პერსონალურ მონაცემების გაცნობა და/ან უსასყიდლოდ მიიღოს ამ მონაცემების ასლები, გარდა იმ მონაცემებისა, რომელთა გაცემისათვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულია საფასური.

5.1. დაინტერესებულ პირს ინფორმაცია უნდა მიეწოდოს მოთხოვნისთანავე ან მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 დღისა, თუ ინფორმაციის მოთხოვნაზე პასუხის გაცემა მოითხოვს:

ა) ინფორმაციის სხვა დაწესებულებაში ან სტრუქტურულ ერთეულში მოძიებასა და დამუშავებას ან მასთან კონსულტაციას;

ბ) მნიშვნელოვანი მოცულობის, ერთმანეთთან დაუკავშირებელი დოკუმენტების მოძიებასა და დამუშავებას;

გ) სხვა დასახლებულ პუნქტში არსებულ მის სტრუქტურულ ქვედანაყოფთან ან სხვა საჯარო დაწესებულებასთან კონსულტაციას.

5.2 დაინტერესებულ პირს ინფორმაცია შესაძლოა ვერ მიეწოდოს 10 დღის ვადაში, ობიექტური ან/და ტექნიკური მიზეზებით გამოწვეული გარემოებების გამო, რომელიც უნდა დასაბუთდეს უნივერსიტეტის მხრიდან დაინტერესებულ პირთან ზეპირი ან წერილობითი კომუნიკაციისას, ასეთ შემთხვევაში ინფორმაციის გაცემა უნდა მოხდეს არაუმეტეს 1 თვის ვადაში განცხადების მიღების დღიდან.